

| <p>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № _____</p> | <p>Contract on State Procurement # _____</p> |
|--|--|
| <p>ქ. თბილისი _____ 2017 წ.</p> | <p>Tbilisi _____ 2017</p> |
| <p>I. მხარეები 1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის ----- ერთის მხრივ სს `საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას` (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სახით _____ და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.</p> | <p>I. Parties The present contract is executed on ----, 2017 by and between the JSC “Georgian State Electrosystem” (hereinafter referred to as the “Buyer”), represented by _____ on the one hand and _____ (hereinafter referred to as the “Supplier”), represented by _____, acting on the basis of the Charter of the Company and the applicable legislation.</p> |
| <p>II. ხელშეკრულების საგანი 2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი თანმდევი მომსახურებით (31100000, 31174000) დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი #2-ის (ტექნიკური პირობა) შესაბამისად. 2.2 დანართი #1 და დანართი #2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p> | <p>II. Contract Subject 2.1. The Supplier is obliged to deliver to the buyer the goods with its accompanying service (31100000, 31174000) in compliance with the Annex #1 (Price List) and the Annex #2 (Technical Condition); 2.2 The Annex #1 and 2 are the integral parts of the present contract.</p> |
| <p>III. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები 3.1. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება შეადგენს _____ (_____) _____ დღგ-ს _____ შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“. 3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და _____ წარმოდგენიდან 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში. 3.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს არაუმეტეს სამი ეტაპისა. პირველი ეტაპი: იმ შემთხვევაში თუ “მიმწოდებლის” მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, “შემსყიდველი” “მიმწოდებელს” უხდის საავანსო თანხას („ხელშეკრულების ღირებულების“ არაუმეტეს 30%-ისა). „მიმწოდებლის“ მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ არის დღგ-ს გადამხდელი საბანკო გარანტიის შესაბამისი ანგარიშფაქტურა წარმოდგენილი უნდა იყოს ავანსის გადახდიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში. მეორე ეტაპი: შუალედური საავანსო გადახდა</p> | <p>III. Value of Goods (with accompanying services) and Terms of Payment 3.1. The value of the goods (with the accompanying service) amounts _____ (_____) _____ VAT, hereinafter referred to as the “Value of the Contract”; 3.2 Payment shall be made for the goods actually delivered (with its accompanying service) within 8 (eight) business days from the day of execution of the Delivery-Acceptance Act and submission of the relevant _____; 3.3. Payment can be made in parts (no more than 3): Part 1: If advance payment is required by the Supplier, the Purchaser shall pay to the Supplier the advance amount (at most 30% of the value of the Agreement) in case of submission of the bank guarantee for the appropriate amount by the Supplier, within 5 (five) business days after submission of the bank guarantee. In case if the Supplier is VAT Payer the appropriate documentation of Bank guarantee should be submitted within 2 (Two) business days after paying advance payment. Part 2: Intermediate advance payment (at most 40% of the value of the Agreement) shall be carried out upon manufacturing and successful factory acceptance tests of the autotransformer, in case of submission of the</p> |

(„ხელშეკრულების ღირებულების“ არაუმეტეს 40%-ისა) შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დამზადებისა და ქარხნული ტესტების წარმატებით გავლის შემდგომ „მიმწოდებლის“ მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის და ქარხნული ტესტის ხელმოწერილი ანგარიშის წარმოდგენის შემთხვევაში, მათი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ არის დღგ-ს გადამხდელი საბანკო გარანტიის შესაბამისი ანგარიშგაქტურა წარმოდგენილი უნდა იყოს ავანსის გადახდიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში.

მესამე ეტაპი: საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება საქონლისა და თანმდევი მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 8 სამუშაო დღეში.

ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშწორებისას.

- რეზიდენტი „მიმწოდებლის“ შემთხვევაში საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით.
- არარეზიდენტი „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ დამოწმებული საბანკო გარანტია. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით. საბანკო გარანტიის ფორმა ატვირთულია სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3.4 ანგარიშწორება განხორციელდება _____ უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

bank guarantee for the appropriate amount and signed factory acceptance tests, within 5 (five) business days after submission of such documents. In case if the Supplier is VAT Payer the appropriate documentation of Bank guarantee should be submitted within 2 (Two) business days after paying advance payment.

Part 3: Final payment shall be carried out according to actually delivered Goods and rendered services after signing of the delivery-acceptance certificate and submission of the appropriate documentation

The prepaid amount shall be counted in making the final payment.

- In case of resident Supplier, the bank guarantee shall be submitted from the bank licensed in Georgia. Validity of the bank guarantee shall exceed the validity of the agreement for at least 30 calendar days.
- A non-resident Supplier shall submit the bank guarantee confirmed by the bank licensed in Georgia. Validity of the bank guarantee shall exceed the validity of the agreement for at least 30 calendar days. The form of the bank guarantee is uploaded in the State Procurement Electronic System together with the bidding documents.

3.4 Payment shall be made in _____ in noncash form.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

4.1.1 გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი საქონელი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) თანმდევი მომსახურებით ხელშეკრულების გაფორმებიდან _____ თვის განმავლობაში „შემსყიდველის“ შემდეგ მისამართზე:

4.1.2 განახორციელოს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი #2-ის (ტექნიკური პირობა) შესაბამისად.

4.1.3 ავტოტრანსფორმატორების და ტრანსფორმატორების მიწოდება და ფუნდამენტზე

IV. Rights and Obligations of the Parties

4.1. Supplier shall be obliged to:

4.1.1. Deliver to the buyer a good free from any material or proprietary defect (new, not being used before) with the accompanying service within _____ months from the day of execution of the contract to the following address of the buyer: _____

4.1.2. Carry out the delivery of goods with the accompanying service in compliance with the Annex #1 (Price List) and the Annex #2 (Technical Condition) of the present contract;

4.1.3. Delivery of Autotransformers and Transformers, putting them on fundamentals is Supplier's responsibility.

| | |
|---|---|
| <p>დადგმა მიმწოდებლის მოვალეობაა.</p> <p>4.1.4 ავტოტრანსფორმატორების და ტრანსფორმატორების მონტაჟს, გაშვება-გაწყობას, ტესტირებას, ექსპლუატაციაში შესაყვანად მომზადებას თავისი ტექნოლოგიური დანადგარებით და სპეციალისტებით განახორციელებს სსე-ს პერსონალი, მწარმოებელი კომპანიის (ან მის მიერ უფლებამოსილი) სპეციალისტების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით (შეფმონტაჟი).</p> <p>4.1.5 მიმწოდებელი მომსახურების დაწყებამდე ორი კვირით ადრე სსე-ს წარუდგენს მომსახურების გაწევის პროგრამას, გრაფიკს და აუცილებელი ტექნოლოგიური დანადგარების და ხელსაწყოების ჩამონათვალს; მონტაჟისა და ტესტირებისათვის აუცილებელი, სპეციფიკური/ სპეციალური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელსაწყოს/ ინსტრუმენტის მოწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.</p> <p>4.1.6 მონტაჟისა და გაშვება-გაწყობისათვის აუცილებელი ყველა მასალის, მაკომპლექტებული ნაწილის და აქსესუარის მოწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.</p> <p>4.1.7 საქონლის მოწოდებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია (საექსპლუატაციო დოკუმენტაცია, პასპორტი, ელ.გაზომვები, ზეთის ოქმები და ა.შ.) 2 ენაზე- ინგლისური და ქართული ან რუსული.</p> <p>4.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:</p> <p>4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის (თანმდევით მომსახურებით) ღირებულება;</p> <p>4.2.2 შეამოწმოს საქონლის (თანმდევით მომსახურებით) მდგომარეობა ვარგისიანობაზე;</p> <p>4.2.3. წერილობით შეატყობინოს “მიმწოდებელს” საქონლის (თანმდევით მომსახურებით) მიღების ან ექსპლუატაციის დროს შემჩნეული ნაკლის შესახებ.</p> | <p>4.1.4. Assembly, installation, testing, preparing autotransformers and transformers to set into operation will be held by GSE personnel with their technological equipment, under the supervision and responsibly of Manufacturer’s (or his authorised) specialists (supervision services).</p> <p>4.1.5 Supplier must provide to GSE plan of fulfilment of supervision services, two weeks before starting the services. It must be scheduled, with all technological installation and equipment listing.</p> <p>Any specific/ special instruments (if needed) for montaging/assembling autotransformer must be provided by Supplier;</p> <p>4.1.6 All required materials, complete set parts and accessories for autotransformers and transformers assembling/installation and setting it in operation, must be provided by the Supplier;</p> <p>4.1.7 Upon delivery of the goods, Supplier shall provide technical documentation (user manual, passport, electrical measurements, oil test protocols etc.) in 2 languages – English and Georgian or Russian.</p> <p>4.2. The buyer shall be obliged to:</p> <p>4.2.1 Pay for the value of the goods supplied (with the accompanying service) in compliance with the contract conditions;</p> <p>4.2.2 Inspect the goods (its accompanying service) for their usefulness;</p> <p>4.2.3. Notify the Supplier in written about any defect revealed to the goods (its accompanying service) during its operation or at the moment of its acceptance;</p> |
| <p style="text-align: center;">V. გარანტია</p> <p>5.1. “მიმწოდებელი” იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი (თანმდევით მომსახურებით) მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.</p> <p>5.2. „მიმწოდებლის“ მიერ მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა არის _____</p> <p>5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, “მიმწოდებელი” ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი “შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებიდან _____ კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ეს შეუძლებელია “მიმწოდებელმა” “შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებიდან</p> | <p style="text-align: center;">V. Guarantee</p> <p>5.1. The Supplier guarantees that the delivered goods (with its accompanying service) will not reveal any defect in case of observation its operational norms;</p> <p>5.2. The guarantee period for the goods provided by the Supplier shall be _____</p> <p>5.3. In case of any reveal of a defect or an incompliance during the guarantee period, the Supplier shall be obliged to rectify such defect at its own costs within _____ calendar days from the day of receipt of the written notice from the buyer; if this is not possible, the Supplier shall replace the good within _____calendar days from the day of receipt of the written notice from the buyer.</p> |

| | |
|--|--|
| <p>_____ კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეცვალოს საქონელი.</p> | |
| <p>VI. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა</p> <p>6.1 “შემსყიდველის” მხრიდან ხელშეკრულების გარანტია ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების <u> </u>%, რომელიც წარმოდგენილია „მიმწოდებლის“ მიერ გამოყენებული იქნება შემდეგ შემთხვევებში თუ:</p> <p>ა) “მიმწოდებლის” მხრიდან მოწოდების ვადა ირღვევა 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.</p> <p>ბ) “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული საქონელი (თანმდევრი მომსახურებით) არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.</p> <p>6.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” საბანკო გარანტიის საფუძველზე უპირობოდ და შეუქცევადად იღებს მთელ გარანტირებულ თანხას (ხელშეკრულების ღირებულების <u> </u>%).</p> <p>6.3 “შემსყიდველის” მხრიდან ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” წინამდებარე ხელშეკრულების მე-VII მუხლით განსაზღვრული ვალდებულებებისაგან.</p> | <p>VI. Performance Bond</p> <p>6.1 Performance Bond, bank guarantee in the amount of <u> </u>% of the value of the contract provided by the Supplier shall be applied by the Buyer in the following cases, in particular, if:</p> <p>a) The terms of delivery of the goods is violated for more than thirty (30) calendar days’ period;</p> <p>b) The goods (with its accompanying service) delivered by the Supplier do not comply with the requirements of this contract</p> <p>6.2 In cases envisaged by the clause 6.1 of this contract the buyer – based on the bank guarantee - will unconditionally and irrevocably accept the whole secured amount (<u> </u>% of the contract value)</p> <p>6.3 Application of the contract security from the buyer shall not release the Supplier from the obligations envisaged by the article VII of the present contract.</p> |
| <p>VII. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>7.1 „მიმწოდებლის“ მიზეზით საქონლის დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების <u> </u>%-ისა, ხარისხიანი საქონლის სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.</p> <p>7.2 ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო “მიმწოდებელს” გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ან არ შეცვლის საქონელს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის/საქონლის შეცვლისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების/საქონლის შეცვლის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.</p> | <p>VII. Responsibility of the Parties</p> <p>7.1 In case of delivery of goods late, incompletely, with a defect or in case of failure to deliver it at all by the fault of the Supplier the latter shall be obliged to pay a penalty in the amount of 0,1% of the undelivered goods per each day of delay, not to exceed <u> </u>% of the contract price in total and make such payment to the day of full delivery of the goods or to the day of termination of the contract - whichever period occurs earlier;</p> <p>7.2 The penalty envisaged by the clause 7.1 of the contract shall be charged to the Supplier also in case if the Supplier does not rectify the defects revealed during the guarantee period or fails to replace the goods within the period set in this contract for the rectification of a defect or replacement of goods, i.e. from the expiry of the relevant period to the day of rectification of a defect of the goods or replace of the goods or the termination date of the contract, whichever period occurs earlier</p> <p>7.3 In case of late (overdue) payment of the value of the goods by the buyer the Supplier shall be entitled to request the buyer to pay a penalty in the amount of 0,1% of unpaid amount per each day of delay before</p> |

7.3 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

7.5 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შემამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და „მიმწოდებელზე“ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს „მიმწოდებლის“ მხრიდან „შემსყიდველისათვის“ 7.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

the termination of the contract or the full payment of such amount, whichever period occurs earlier

7.4 In case of failure to fulfill the contract obligations unilaterally, the parties shall be obliged to compensate for damage to the fullest extent in compliance with the rules established by Georgian legislation. Compensation for damage or its request will not suspend accruing the penalty envisaged by this article.

7.5 The buyer shall be entitled to deduct (reduce compensation) the penalty amount accrued to the Supplier under this article at payment the value of the factually delivered goods to the Supplier. Such deduction shall not become the ground for accrue of penalty envisaged by the clause 7.3 to the buyer by the Supplier.

VIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2 „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ _____

8.3 კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII. Control on Fulfillment of Contract

8.1 The buyer or its representative shall have the right at any stage of the performance of the contract to conduct control over the fulfilment of the obligations undertaken by the Supplier;

8.2 Control over the fulfilment of the contract from the part of the buyer shall be carried out by _____ of the JSC “Georgian State Electrosystem”;

8.3 The control will be carried out for compliance of quality of goods (accompanying services) and the delivery terms with the conditions of the contract.

IX. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს,

IX. Force Majeure

9.1 Suspension of the contract conditions or any of those due to occurrence of the force-majeure circumstances shall not be considered as a non-fulfillment or violation of the terms of the contract and will not result in application of penalty sanctions.

9.2 For the purposes of this article the “Force Majeure” shall mean insurmountable circumstances beyond the control of the parties, which are not related to their errors or negligence but have unforeseen character.

რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

Such a situation can be caused by war or natural disasters, epidemics, quarantine, embargo and other. Sufficient evidence of occurrence of the force majeure circumstance shall be the relevant certificate issued by the relevant country's Chamber of Industry and Commerce.

9.3 In case of occurrence of force majeure circumstances, the contract party, which is unable to fulfill its obligations, shall immediately notify the other party in writing of such circumstances and the reasons thereof. If the notifying party does not receive a written response from the other party, it - at its own discretion, relevance and capabilities - will proceed with fulfilment of its contractual obligations and try to find such alternative methods, which shall be independent from the influence of force majeure.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

X. Communication between the parties

10.1. Any official communication between the contracting parties shall be in writing. Written notice to be sent by one party to the other party shall be managed by the person in charge of management of mailing or e-communication and/or the person authorized for the representation or the authorized contact persons within the scopes of the contract (in case of electronic communication). In order to establish operative communication it shall be admitted e-mailing (scanned version of a correspondence) or faxing to the other party, provided that the original copy shall be also delivered;

10.2. The communication shall be effective on the day of its reception by the addressee or the day set for the effectiveness of the correspondence - depending on which of these dates comes later;

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად

XI Change of the Conditions of Contract and/or its Early Termination

11.1 Any amendment and/or addition to this contract may be made by written agreement of the parties.

11.2 No amendment to the conditions of the purchase contract shall be admitted if such amendment results in the increase of a total value of the contract or

| | |
|--|--|
| <p>იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.</p> <p>11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:</p> <p>11.3.1. მხარეთა შეთანხმებით;</p> <p>11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;</p> <p>11.4 „შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:</p> <p>11.4.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;</p> <p>11.4.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;</p> <p>11.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს.</p> <p>11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p> <p>11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება.</p> | <p>worsening of the contract conditions for a procuring entity, except for the cases envisaged by the article 398 of the Civil Code of Georgia; however, even in such a case it will be inadmissible to increase the total value of the contract by more than 10%.</p> <p>11.3. The contract may be earlier terminated in the following cases:</p> <p>11.3.1. With the agreement of the parties;</p> <p>11.3.2. Application by one of the parties in case of substantial violation of the contract conditions by the other party;</p> <p>11.4 The buyer shall be entitled to terminate the contract earlier if:</p> <p>11.4.1. It (buyer) becomes aware of that due to some independent reasons he is not able to comply with the contract obligations;</p> <p>11.4.2. Supplier becomes bankrupt;</p> <p>11.4.3 It (buyer) becomes aware of the information presented by the Supplier is false, which is the ground for the loss of the confidence of the buyer in the Supplier;</p> <p>11.4.4. Other cases envisaged by the legislation of Georgia.</p> <p>11.5 In cases indicated in the clause 11.4 above the buyer shall have to compensate the Supplier for the value of goods (accompanying service) factually delivered (rendered).</p> |
| <p>XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება</p> <p>12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.</p> <p>12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.</p> | <p>XII. Interruption in Performance of Contract</p> <p>12.1 In case if during the fulfillment of the contracts the parties face any circumstances hindering the performance of the contract conditions, a party shall immediately notify the other party in writing of the delay, it's expected duration and its causes. The notified party has as soon as possible to inform the other party of its decision in connection with the above-mentioned circumstances;</p> <p>12.2 In the case if due to the delay in fulfillment of the contract conditions the parties agree on the extension of the terms of the contract, such decision must be executed in the form of the amendment to the contract.</p> |
| <p>XIII. დავათა განხილვა</p> | <p>XIII. Disputes Settlement</p> |

| | |
|--|--|
| <p>13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.</p> <p>13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.</p> | <p>13.1 The contracting parties agree that they try all attempts to settle any dispute or disagreement arisen between them in connection with this contract or its related issues in the way of negotiation, by mutual agreement</p> <p>13.2 In case if the parties fail to reach the negotiation over the disputable issue within 30 (thirty) calendar days from the day of such negotiation any party may apply to a court of Georgia in compliance with the rules duly set.</p> |
| <p>XIV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</p> <p>14.1 მიღება - ჩაბარების აქტები ფორმდება ეტაპობრივად ფაქტიურად მოწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების მიხედვით.</p> <p>14.2 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდებისას “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებულ საქონელსა და თანმდევ მომსახურებაზე „შემსყიდველსა“ და „მიწოდებელს“ შორის.</p> <p>14.3 საქონელი (თანმდევი მომსახურებით) მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.</p> | <p>XIV. Rule of Delivery and Acceptance of the Subject of Procurement</p> <p>14.1 Delivery-Acceptance Act shall be executed in stages, according to the goods factually delivered and the accompanying services factually rendered;</p> <p>14.2 At the moment of delivery of goods (accompanying services) the person designated by the buyer under the sub clause 8.3 of this contract shall inspect the goods (accompanying services) for their compliance with the present contract conditions. In case of absence of any defect (deficiency) the Delivery-Acceptance Act shall be executed by and between the buyer and the Supplier according to the goods factually delivered and the accompanying services factually rendered;</p> <p>14.3 Goods and the accompanying services will be deemed as accepted immediately upon the execution of the Delivery-Acceptance Act between the parties. Responsibility for goods upon the execution of the mentioned Act shall be transferred to the buyer.</p> |
| <p>XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები</p> <p>15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს _____ ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.</p> | <p>XV. Contract Validity</p> <p>15.1 The contract shall be deemed as expired immediately upon fulfillment of the mentioned conditions, but not later than _____ (inclusive) while in the part of the guarantee obligations - to the end of the guarantee period.</p> |
| <p>XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები</p> <p>16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.</p> <p>16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.</p> <p>16.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და _____</p> | <p>XVI. Miscellaneous</p> <p>16.1 This contract is done in two equal copies in Georgian language;</p> <p>16.2 In cases not covered by this contract the parties shall act in compliance with the legislation of Georgia;</p> <p>16.3 Conditions envisaged by the present contract are binding for the parties and their respective legal successors and assignees. No delegation of the obligation provided for in this contract shall be admitted to any other party without prior written consent of the other party;</p> |

| | |
|--|---|
| <p>უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.</p> <p>16.4 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ჟ) ქვეპუნქტის შესაბამისად.</p> | <p>16.4 This contract has been concluded in compliance with the sub clause “P” of the clause 1 of the article 3 of the Law of Georgia on State Procurement.</p> |
| <p>XVII მხარეთა რეკვიზიტები</p> | <p>XVII Requisites of the Parties</p> |
| <p>„შემსყიდველი“:</p> | <p>„Buyer“:</p> |
| <p>„მომწოდებელი“:</p> | <p>“Supplier“:</p> |

*დანართი #1
Annex #1*

ფასთა ცხრილი
Price List

დანართი #2
Annex #2

ტექნიკური პირობა
Technical Condition